ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსის) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს ფრანსუოთერპაუსკუპერს საქართველო

King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის #12, მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო

ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვეცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2025 წლის 8 აგვისტო
თბილისი, საქართველო

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	6,707,801	7,301,449
არამატერიალური აქტივები		-	3,810
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,707,801	7,305,259
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,856,194	1,729,239
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		409,339	186,556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,928,263	3,174,801
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	12,492,110	10,634,356
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,685,906	15,724,952
სულ აქტივები		24,393,707	23,030,211
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	16,433,513	16,433,513
გაუნაწილებელი მოგება		4,486,118	2,990,599
სულ კაპიტალი		20,919,631	19,424,112
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	3,474,076	3,606,099
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,474,076	3,606,099
სულ ვალდებულებები		3,474,076	3,606,099
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		24,393,707	23,030,211

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2025 წლის 8 აგვისტოს.

ნუგზარ ჯანყარაშვილი
გენერალური დირექტორი

იევეგენია ისაიევა
ფინანსური დირექტორი

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

<i>ქართული ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	2024	2023
ამონაგები	12	25,305,869	20,925,039
რეალიზაციის თვითღირებულება	13	(15,858,578)	(13,290,420)
მთლიანი მოგება		9,447,291	7,634,619
როიალტი*	14	(1,339,605)	(1,134,498)
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(1,901,920)	(1,795,281)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,510,641)	(1,920,036)
სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		(3,508)	(104,822)
საოპერაციო მოგება		3,691,617	2,679,982
ფინანსური შემოსავალი	17	943,885	995,558
ფინანსური ხარჯი	17	(114,030)	(466,689)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,521,472	3,208,851
მოგების გადასახადის ხარჯი		(485,953)	(1,122,004)
წლის მოგება		4,035,519	2,086,847
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ, წლის სხვა სრული შემოსავალი		4,035,519	2,086,847

*მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარისხისა და გააზრების გასაუმჯობესებლად, კომპანიამ ხელახლა გადახედა აღნიშნული მუხლის წარდგენას, როგორც ეს მე-3 შენიშვნაშია აღწერილი.

*შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება*

<i>ქართული ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>გაუნაწილებელი მოგება</i>	<i>სულ</i>
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		16,433,513	6,903,752	23,337,265
წლის მოგება		-	2,086,847	2,086,847
სულ სრული შემოსავალი 2023 წელს გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	10	-	(6,000,000)	(6,000,000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		16,433,513	2,990,599	19,424,112
წლის მოგება		-	4,035,519	4,035,519
სულ სრული შემოსავალი 2024 წელს გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	10	-	(2,540,000)	(2,540,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		16,433,513	4,486,118	20,919,631

განმარტებითი შენიშვნები, რომელშიც მოცემულია გვერდებზე 5-19, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგრამდე		4,521,472	3,208,851
შესწორებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	6,16	946,457	939,300
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი)		(3,625)	105,618
გაუფასურების ანარიცხის ხარჯი/(აღდგენა)		7,133	(796)
სავალუტო კონვერტაციის სხვაობა, ნეტო		114,030	210,327
ფინანსური შემოსავალი	17	(943,885)	(739,196)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე:		4,641,582	3,724,104
(ზრდა)/შემცირება მარაგებში		(126,955)	256,528
შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		61,079	947,191
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		67,409	548,899
(ზრდა)/შემცირება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში		(222,783)	63,082
საოპერაციო ფულადი ნაკადები პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		4,420,332	5,539,804
მიღებული პროცენტი	17	943,885	739,196
გადახდილი მოგების გადასახადი		(485,953)	(1,122,004)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		4,878,264	5,156,996
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(349,933)	(115,159)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	6	4,560	79,661
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(345,373)	(35,498)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	10	(2,540,000)	(6,000,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,540,000)	(6,000,000)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(135,137)	(186,967)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		10,634,356	11,699,825
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წლის ბოლოს		12,492,110	10,634,356

განმარტებითი შენიშვნები, რომელშიც მოცემულია გვერდებზე 5-19, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2014 წლის 11 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404482868. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი არის Henkel Ag & Co. KGaA. სამეწარმეო საკუთრების ფუნქციებს ასრულებს Henkel Ag & Co. KGaA.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Henkel AG & Co. KGaA-ში ხმის უფლების უმეტეს ნაწილს ფლობენ Henkel-ის ოჯახის გაერთიანებული აქციების მფლობელთა შეთანხმების წევრები, რაც წარმოადგენს კომპანიის და Henkel Group-ის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია არის სამშენებლო პროდუქციის და წებოვანი ნივთიერებების მწარმოებელი. ის ოპერირებს სამი ბიზნეს დანაყოფის მეშვეობით: სამომხმარებლო წებოვანი ნივთიერებები (AC), კოსმეტიკური საშუალებები (B) და სარეცხი საშუალებები (L). ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა სამომხმარებლო წებოვანი ნივთიერებები, რომელიც მოიცავს სამშენებლო პროდუქციის ადგილობრივ წარმოებას; ჰენკელის წებოვანი ნივთიერებების პროდუქტების იმპორტს ჰენკელის ურთიერთდაკავშირებული კომპანიებიდან; ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქციის მესამე მხარეებზე რეალიზაციას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. კოსმეტიკური საშუალებების და სარეცხი საშუალებების დანაყოფები შექმნილია, როგორც კომპანიის დამატებითი საქმიანობა, რომელიც ჰენკელის პროდუქტების ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში დისტრიბუციის მხარდასაჭერად და ჰენკელის ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისთვის მომსახურების გაყიდვისთვის არის წარმოდგენილი.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი არის მისი საქმიანობის (ქარხნის) ადგილმდებარეობა, საქართველო, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ასევე საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (მსს ფასს-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც საწარმო ოპერირებს („სამუშაო ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლ), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომლებიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან, ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სავალუტო შემოსულობებისა და ზარალის კონვერტაციიდან აღიარებულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფინანსური შემოსავლის/ხარჯების ნაწილში, წმინდა საფუძველზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო 1 ევრო = ლ 2.9306 (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 ევრო = ლ 2.9753) და 1 აშშ დოლარი = ლ 2.8068 (2023: აშშ დოლარი = ლ 2.6894). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლითი ვალუტა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, განხილვა გაუფასურებაზე ხორციელდება, თუ მოვლენები და გარემოებების ცვლილებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება არ არის ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხისთვის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ა გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც, ძირითადად, დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება, შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენ ღირებულებაზე გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

შენობა-ნაგებობები

25-40 წელი

ქარხანა და მანქანა-დანადგარები

10 წელი

ქარხნისა და ოფისის სხვა აღჭურვილობა

5 წელი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები შეფასებულია როგორც ნულის ტოლი.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე). ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარჩებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის გაუფასურების ანარჩები იქმნება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიას თავდაპირველ პირობებთან შესაბამისობაში მოთხოვნების დაფარვის ვადის დადგომისას არ ექნება თანხების ამოღების საშუალება..

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 3 თვე ან ნაკლებია. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი. ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულა და დამტკიცებულია. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების დამტკიცებამდე, წარმოდგენილია შემდგომი მოვლენების შესახებ შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები დაირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; როდესაც სავარაუდოა, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოედინება საწარმოში; და როდესაც დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

საქონლის გაყიდვები. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის მფლობელობის რისკებისა და სარგებელის გადაცემის დროს, ჩვეულებრივ, მაშინ, როდესაც საქონელი გაგზავნილია. თუ კომპანია თანახმაა საქონლის მითითებულ ადგილას ტრანსპორტირებაზე, ამონაგები აღიარდება, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს დანიშნულების ადგილზე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მომსახურების გაწევა. მომსახურების გაყიდვა ხდება ყოველთვიურ საფუძველზე იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურება გაწეულია. მომსახურების გაყიდვა განისაზღვრება მომსახურების ხელშეკრულებით და ამონაგები უნდა აღიარდეს, როგორც პერიოდში გაწეული დაკავშირებული დანახარჯები, რაც მრავლდება სახელშეკრულებო ფასნამატის განაკვეთზე.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში.

რეზიდენტი იურიდიული პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების გადანაწილების შედეგად, აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. შედეგად, კომპანიამ ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება შეწყვიტა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღრიცხა შესაბამისი გავლენა მოგებაში და ზარალში 2016 წელს. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები და ამ საწარმოებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია საგადასახადო ჩათვლებით, რომლებიც მოთხოვნილია იმ აქტივებსა და მომსახურებებზე, რომლებიც მიღებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებულ ღირებულებაზე დამატებული გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შემენასთან დაკავშირებული შეტანილი დღგ გადაიდება 5-დან 10 წლამდე იმ სუბიექტებისთვის, რომელთა ბრუნვის 20%-ზე მეტი გათავისუფლებულია დღგ-სგან კრედიტის უფლების გარეშე. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის გაკეთებისას, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით, დღგ-ის ჩათვლით.

დაეირავებულ პირთა სარგებელი. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და ჯანმრთელობის დაზღვევა დაირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები წარდგენაში. წლის განმავლობაში კომპანიამ შეცვალა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ქვემოთ აღწერილი გარკვეული ხაზობრივი მუხლების კლასიფიკაცია, კერძოდ, უშუალო მშობელი კომპანიის მიერ დარიცხული როლიატი ცალკეა განმარტებული. კომპანია მიიჩნევს, რომ ცვლილება იძლევა სანდო და მეტად შესაბამის ინფორმაციას. ბასს 8-ის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად და შესაბამისი შესაბამისად რეკლასიფიცირდა.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

ქართული ლარი	თავდაპირველი წარდგენა	შესწორება	კორექტირებული
როიალტი	-	(1,134,498)	(1,134,498)
სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო	(1,239,320)	1,134,498	(104,822)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. რომელიმე ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების და ოპერაციების განმარტებებისთვის, იხილეთ მე-5 შენიშვნა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება კომპანიის შეფასებას მომხმარებელთა კონკრეტული ანგარიშების ამოღებადობის შესახებ. თუ ადგილი აქვს მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას ან ფაქტობრივი დეფოლტი უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები, ფაქტობრივი მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც შეფასებულია, როგორც ისეთი, რომელიც ინდივიდუალურად არ გაუფასურდება, გაუფასურებაზე შეფასდება ერთობლივად, მსგავსი ხანდაზმულობის მოთხოვნების ამოღების კომპანიის ისტორიული გამოცდილების მითითებით. . სავაჭრო მოთხოვნების მიმართ ანარიცხი იქმნება კონკრეტული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან თანხების ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება მგრძნობიარეა გამოყენებული კონკრეტული პროცენტების მიმართ.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება გადაიხედოს მომავალში, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგზე ან მოლოდინებზე, რაც ეფუძნება რისკებზე თითოეული დაქვემდებარების ირგვლივ არსებულ ფაქტებს.

5. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (ჰენკელთან ურთიერთდაკავშირებული კომპანია)	154,975	54,261
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ - უშუალო მშობელი კომპანია - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (ჰენკელთან ურთიერთდაკავშირებული კომპანია)	353,715 1,287,977	310,009 2,114,240

მოთხოვნები არ არის უზრუნველყოფილი და არ არის პროცენტიანი. არ არსებობს ანარიცხები დაკავშირებული მხარეებისგან მოთხოვნების მიმართ.

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
ამონაგები - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	665,735	618,271
შემენა - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	8,426,723	5,100,895
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები - უშუალო მშობელი კომპანია - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	396,364 318,359	239,012 -
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	274,079	-
როიალტი - უშუალო მშობელი კომპანია	1,339,605	1,134,498

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება სრულ განაკვეთზე აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე გაწეული მომსახურებისთვის შედგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასებისგან 139,012 ლარის ოდენობით 2024 წელს (2023: 191,194 ლარი), შესაბამისად და ბონუსებისგან 21,703 ლარის ოდენობით 2024 წელს (2023: 55,684 ლარი), შესაბამისად.

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

6. ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	ქარხანა და მანქანა- დანადგარები	ქარხნის და სხვა საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული აქტივი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	1,410,934	5,351,767	6,562,479	1,271,313	57,810	43,574	14,697,877
დამატებები	-	-	47,854	61,972	-	5,333	115,159
გასვლები	-	-	-	(184,099)	-	-	(184,099)
გადაცემები	-	-	-	43,574	-	(43,574)	-
სხვა მოძრაობები	(131,744)	-	-	-	-	-	(131,744)
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	1,279,190	5,351,767	6,610,333	1,192,760	57,810	5,333	14,497,193
დამატებები	-	-	127,520	95,997	-	126,416	349,933
გასვლები	-	-	(2,551)	(158,798)	-	-	(161,349)
გადაცემები	-	-	112,199	5,333	-	(117,532)	-
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	1,279,190	5,351,767	6,847,501	1,135,292	57,810	14,217	14,685,777
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 1 იანვარს	-	(1,153,559)	(4,150,369)	(1,030,352)	(57,810)	-	(6,392,090)
ცვეთის ხარჯი	-	(175,319)	(660,167)	(98,732)	-	-	(934,218)
გასვლები	-	-	-	130,564	-	-	130,564
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(1,328,878)	(4,810,536)	(998,520)	(57,810)	-	(7,195,744)
ცვეთის ხარჯი	-	(175,319)	(672,284)	(95,043)	-	-	(942,646)
გასვლები	-	-	1,616	158,798	-	-	160,414
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(1,504,197)	(5,481,204)	(934,765)	-	-	(7,977,976)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	1,410,934	4,198,208	2,412,110	240,961	-	43,574	8,305,787
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	1,279,190	4,022,889	1,799,797	194,240	-	5,333	7,301,449
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	1,279,190	3,847,570	1,366,297	200,527	-	14,217	6,707,801

7. მარაგები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	976,192	1,011,643
დაუმთავრებელი წარმოება	27,615	21,602
ნედლეული მასალები	852,387	627,876
საქონელი ტრანზიტში	-	68,118
სულ მარაგები	1,856,194	1,729,239

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები მესამე მხარეებისგან	2,667,654	2,984,163
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	154,975	54,261
სხვა მოთხოვნები	126,499	150,109
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(20,865)	(13,732)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,928,263	3,174,801

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	12,492,110	10,634,356
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,492,110	10,634,356

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სამ თვემდე თავდაპირველი დაფარვის ვადის მქონე ფულად სახსრებს ბანკებში. მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ერთ საუკეთესო ქართულ ბანკში, რომელსაც Fitch-ის სარეიტინგო სისტემის მიხედვით გააჩნია BB- რეიტინგი უარყოფითი პერსპექტივით (2023: BB, სტაბილური პერსპექტივა). კომპანია ან თანხებზე გამოიმუშავებს პროცენტს, იხილეთ შენიშვნა 17.

10. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Henkel Ag & Co. KGaA ფლობდა საკუთრების წილის 100%-ს. საწესდებო კაპიტალი მთლიანად შეტანილია ნაღდი ანგარიშსწორებით.

Henkel AG & Co. KGaA-სთვის გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები 2024 და 2023 წლებში იყო შემდეგი:

ქართული ლარი	2024	2023
1 იანვარს გადასახდელი დივიდენდები	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	2,540,000	6,000,000
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(2,540,000)	(6,000,000)
31 დეკემბერს გადასახდელი დივიდენდები	-	-

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ	1,140,825	367,485
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	1,641,692	2,424,249
სხვა დარიცხული ვალდებულებები	690,689	814,365
სხვა ვალდებულებები	870	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,474,076	3,606,099

12. ამონაგები

<i>ქართული ლარი</i>	2024	2023
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	24,640,134	20,306,768
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	665,735	618,271
სულ ამონაგები	25,305,869	20,925,039

ამონაგები წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების გაყიდვას. ჰენკელის ურთიერთდაკავშირებულ კომპანიებთან შეთანხმების საფუძველზე კომპანია ახორციელებს წებოვანი ნივთიერებების პროდუქციის იმპორტს საქართველოში, შემდგომ სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში გასაყიდად. ასევე, კომპანია აწარმოებს სამშენებლო პროდუქციას ადგილობრივად, ამ პროდუქციის სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში გაყიდვით. საქონლის გაყიდვები წარმოადგენს კომპანიის ძირითადი ამონაგების წარმომქმნელ საქმიანობას.

მომსახურების ანაზღაურება გამოითვლება კომპანიის მიერ მომსახურების მიწოდების ხარჯებზე 12.4% მოგების მარჟის გამოყენებით. 2024 და 2023 წელს დასრულებულ წლებში გაანგარიშების მეთოდი გათვალისწინებულია ურთიერთდაკავშირებული კომპანიების მომსახურების ხელშეკრულებით შესაბამისად, რომლებიც შეზღუდულია კომპანიის წლიური ბიზნეს გეგმით.

წლის განმავლობაში ხელმძღვანელობამ შეცვალა შენიშვნების გარკვეული პუნქტების წარდგენის წესი, კერძოდ, წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები და შეძენილი საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები გაერთიანდა საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში. ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად და შესადარისები შესაბამისად იქნა კორექტირებული. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ცვლილება უზრუნველყოფს სანდო და მეტად შესაბამის ინფორმაციას.

13. რეალიზაციის თვითღირებულება

ქართული ლარი	2024	2023
გადასაყიდად შეძენილი საქონლისა და ნედლეულის ღირებულება	14,299,240	11,890,662
პერსონალის ხარჯი	567,775	464,119
ცვეთის ხარჯი	398,389	365,021
რეალიზებული საქონლის ღირებულება, სულ	15,265,404	12,719,802
გაწეული მომსახურების ღირებულება	593,174	570,618
სულ, რეალიზაციის თვითღირებულება	15,858,578	13,290,420

14. როიალტი

როიალტის შეთანხმება ფორმდება კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიის - Henkel Ag & Co. KGaA-ს მიმართ. შეთანხმების ფარგლებში, კომპანია იღებს უფლებას გამოიყენოს გარკვეული ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლებები, ასევე ლიცენზიარის საკუთრებაში არსებული საპატენტო ინფორმაცია და ტექნოლოგია.

როიალტი აღირიცხება კვარტალურად და ხარჯის ოდენობა წარმოადგენს საქონლის გაყიდვიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის ფიქსირებულ 5.5%-ს.

15. გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები

ქართული ლარი	2024	2023
გაყიდვების ხელშეწყობა და მარკეტინგი	1,011,934	827,908
საბროკერო ხარჯები	403,001	548,640
სარეკლამო ხარჯები	306,449	223,662
გადაზიდვის ხარჯები	180,536	195,071
სულ გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები	1,901,920	1,795,281

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2024	2023
პერსონალის ხარჯები	663,486	691,433
საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის მომსახურების ხარჯი	611,900	-
ცვეთის ხარჯი	529,141	536,080
პროფესიული მომსახურება	176,843	137,179
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	91,617	107,537
საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯები	90,673	97,089
დაზღვევის ხარჯები	81,064	81,024
უსაფრთხოების ხარჯები	68,136	60,763
ქირავნობის ხარჯი	46,358	38,835
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები	28,906	48,877
საოფისე დანახარჯები	13,525	10,915
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	7,526	10,285
ამორტიზაციის დანახარჯები	3,811	5,082
სხვა	97,655	94,937
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,510,641	1,920,036

17. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი შედგება ბანკის საპროცენტო შემოსავლისგან მიმდინარე სადეპოზიტო ანგარიშებზე.

ფინანსური ხარჯები შედგება პერიოდის წმინდა სავალუტო ზარალისგან.

18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

ვალდებულებები. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა რაიმე სახის არსებითი დაუფარავი ვალდებულებები.

სასამართლო დავები. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო პროცესებში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ გამოეხმაურება მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც კომპანია ოპერირებს.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

ოპერაციების მიმოხილვა

(2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის)

სარჩევი

1. კომპანიის საქმიანობა და ტექნოლოგიური პროცესი.....	4
2. სამომავლო გეგმები.....	4
3. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები.....	5
3.1 ფინანსური მაჩვენებლები.....	5
3.2 არაფინანსური მაჩვენებლები.....	5
4. რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	5
5. ფინანსური რისკები	5

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების დაცვით.
- ანგარიშგებებში წარდგენილი ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს.

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია

ნუგზარ ჯანყარაშვილი
გენერალური დირექტორი

იეგენია ისაიევა
ფინანსური დირექტორი

2025 წლის 8 აგვისტო
თბილისი, საქართველო

1. კომპანიის საქმიანობა და ტექნოლოგიური პროცესი

„ჰენკელ გრუფი“ არის გლობალური მწარმოებელი სამომხმარებლო საქონლის ინდუსტრიაში და წარმოდგენილია გლობალური ბრენდებითა და ტექნოლოგიებით სამ ბიზნეს დანაყოფში (“BU”);

წებოვანი ნივთიერებების ტექნოლოგიები (ბიზნეს დანაყოფი “A”);

კოსმეტიკური საშუალებები (ბიზნეს დანაყოფი “B”) და სარეცხი და სახლის მოვლის საშუალებები (ბიზნეს დანაყოფი “L”)

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია მუშაობს როგორც ჰენკელის პროდუქციის მწარმოებელი და სადისტრიბუციო კომპანია წებოვანი ნივთიერებების ბიზნეს დანაყოფში; კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა სამშენებლო მასალების წარმოება და ჰენკელის წებოვანი ნივთიერებების პროდუქტების ჰენკელთან დაკავშირებული კომპანიებიდან იმპორტი შემდგომი დისტრიბუციისთვის; ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქციის მესამე მხარეებისთვის მიყიდვა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯიას არ გააჩნია ფილიალი არცერთ ქვეყანაში.

კოსმეტიკური საშუალებების და სარეცხი საშუალებების დანაყოფები შექმნილია, როგორც კომპანიის დამატებითი საქმიანობა, რომელიც ჰენკელის პროდუქტების ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში დისტრიბუციის მხარდასაჭერად და ჰენკელის ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისთვის მომსახურების გაყიდვისთვის არის წარმოდგენილი.

2024 წლის ფინანსური წლის განმავლობაში კვლევისა და განვითარების გადახედვა საწარმოს მიერ არ განხორციელებულა.

2. სამომავლო გეგმები

კომპანიის მთავარი მიზანია წებოვანი სამშენებლო მასალების გაყიდვების გაზრდა და ახალი მომხმარებლების მოზიდვა პროდუქციისა და ამავდროულად მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნება. კომპანიის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი ნაწილი სამშენებლო ბაზარია.

ბოლო 12 წლის განმავლობაში გაცემულია სულ 125,216 სამშენებლო ნებართვა, რაც წელიწადში საშუალოდ 10,435 ნებართვაა. ამ მაჩვენებელს აშკარა ზრდის ტენდენცია აქვს: მაგალითად, 2009 წელს 3,705 სამშენებლო ნებართვაა გაცემული, 2024 წელს კი ეს რიცხვი სამჯერ 12,080 -მდე გაიზარდა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყოველწლიურად საშუალოდ 11,069 ნებართვა გაიცემა. 2021-2024 წლებში გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობა დასრულებული ნაგებობების რაოდენობაზე 3.8-ჯერ მეტი იყო. ეს ნიშნავს, რომ დასრულებული ნაგებობების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა უახლოეს წლებში.

სამშენებლო ბაზრის მნიშვნელოვანი ზრდისა და ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯიას ამონაგების წლიური ზრდის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ წებოვანი ნივთიერებების და სამშენებლო ქიმიკატების ბაზარიც საქართველოში შეიძლება სტაბილური ზრდით ხასიათდებოდეს.

3. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

3.1 ფინანსური მაჩვენებლები

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია დაარსდა 2014 წლის 11 ნოემბერს საიდენტიფიკაციო ნომრით: 404482868 Henkel Ag & Co. KGaA-ს მიერ.

Henkel Ag & Co. KGaA, რომელიც დაარსდა 1876 წელს, შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯიას უშუალო მშობელი საწარმოა, რომელიც კომპანიის 100% წილის მფლობელია.

შპს ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯიას ამონაგებმა 2024 წელს მიაღწია 25,306 ათას ლარს, ხოლო 2023 წელს 20,925 ათას ლარს, წმინდა შემოსავალმა 2024 წელს 4,036 თასი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს - 2,086 ათასი ლარი.

3.2 არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა - მისი წარმოების/ოპერაციების სპეციფიკის გათვალისწინებით, კომპანია აღიარებს თავის პასუხისმგებლობას შესაძლო უბედურ შემთხვევებზე, რომლებიც შეიძლება მოხდეს წარმოების პროცესში. მსგავსი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად კომპანიამ შეიმუშავა და დანერგა უსაფრთხოებისა და კონტროლის პროცედურები, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს და ტექნიკური პერსონალი უზრუნველყო შესაბამისი პირადი უსაფრთხოებითა და სხვა სავალდებულო აღჭურვილობით. ჯგუფის ობიექტების კონსტრუქცია მოიცავს უსაფრთხოების ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც აუცილებელია პერსონალისთვის ან გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესამცირებლად. დიდი ყურადღება ექცევა შემოწმების დროს გამოვლენილი მცირე ხარვეზების დროულ გამოსწორებას.

4. რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ჯგუფი მართავს გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს, რათა უზრუნველყოს პრობლემური საკითხების დროული გამოვლენა და მათი შესაძლო უარყოფითი შედეგების შემსუბუქება. ფინანსური რისკი გულისხმობს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ფინანსური ვალდებულებების შემცირებას. ჯგუფი სისტემატურად განიხილავს აღნიშნული ძირითადი ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფინანსური რისკების, გადახდისუნარიანობის და ლიკვიდობის რისკების მინიმუმამდე დაყვანას.

5. ფინანსური რისკები

სავალუტო რისკი - ვალუტის კურსის ცვლილების უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია ნედლეულს და მზა პროდუქციას არარეზიდენტი მიმწოდებლებისგან იძენს; იყენებს საწარმოებლად და ჰყიდის მას როგორც არარეზიდენტ, ასევე რეზიდენტ მომხმარებლებზე; შესაბამისად, კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს ყოველ ჯერზე, როცა იგი იხდის პროდუქციის ღირებულებას.